დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27.05.24

დასკვნის წარდგენის თარიღი
22.07.24

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 15

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 24

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ქართული ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Georgian Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ქართული ფილოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	46 სასწავლო კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 15.02.2023 წ. MES 9 23 0000178409
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 15.02.2023 წ. MES 9 23 0000178409 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

პროგრამის აკრედიტაციისას გამოითქვა 15 რეკომენდაცია და 20 რჩევა. მათი ნაწილი კლასტერული რეკომენდაციებია, ხოლო ნაწილი მხოლოდ პროგრამის შესახებ არის გამოთქმული. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტმა შეასრულა ყველა რეკომენდაცია, თუმცა აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციათა ნაწილის შესრულება სამომავლოდაც არის მნიშვნელოვანი. მათ შორის, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობა, ამავე პროგრამის პროფესურის სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობა, ასევე, უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული სამეცნიერო ბაზების მოხმარების ხელშეწყობა, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების თანახმად, 2024 წლის 27 მაისს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა დისტანციური ფორმატის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი (თავმჯდომარე), ნინო ფხაკაძე (წევრი). ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პრორგამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის დროს გათვალისწინებული იყო 2023 წლის აკრედიტაციის წარმოებაში ჩართულ ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს შეფასებები, რეკომენდაციები და რჩევები, ვინაიდან მონიტორინგი დაწესდა სწორედ ამ რეკომენდაციების შესასრულებლად.
ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დოქტორანტებთან.
ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტისა და პროგრამის ხელმძღვანელობას წარედგინა ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან.

მესამე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

მეოთხე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან.

მეხუთე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამაში და სხვა დოკუმენტებში არსებული კრედიტების დაანგარიშების ხარვეზი და კრედიტების მოცულობად მითითებული იყოს 46 ECTS კრედიტი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამაზე გაგრძელდეს ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ხელმისაწვდომობისათვის მუშაობა.
  - მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის მიმართულებით.
  - მიზანშეწონილია, მოხდეს ჩატარებული ტრენინგების შედეგების მონიტორინგი.
  - მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს გრძელვადიანი პერსპექტივით აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის განვითარება.
  - მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა პოპულარიზაცია გაუწიოს საერთაშორისო, მაღალი რანგის სამეცნიერო პუბლიკაციებს.
  - მოზანშეწონილია, ყურადღება მიექცეს სამეცნიერო ბაზების მოხმარების მონიტორინგს. კერძოდ, მოხდეს იმის ანალიზიც, თუ რა ცვლილებები განხორციელდა გარე წვდომის შედეგად ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებით.
  - მიზანშეწონილია, წინასწარ განისაზღვროს გარე შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციისა და რჩევების გაცნობის შემდგომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტთა შეხედულებებს.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიაანი მკვლევრის მომზადება ქართული ფილოლოგიის სფეროში. ასევე, პროგრამის ფარგლებში ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნა დისერტაციის ფარგლებში.
სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მიხიას და პასუხობს მეცნიერების თანამედროვე გამოწვევებს.
2023 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ, პროგრამის აკრედიტაციისას გამოთქმულ იქნა რჩევა: „გაგრძელდეს და გაძლიერდეს კლასტერის რეგიონული ორიენტირება, პროფილის შექმნის გასააქტიურებლად და უნიკალური პოზიციის დასამკვიდრებლად“.
რჩევა გათვალისწინებულია. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებს დაუმტკიცდათ სამეცნიერო ნაშრომების შემდეგი თემები:

1.„ახალციხის მუნიციპალიტეტისა ანთროპონიმია“;
2. „თანამედროვე ენობრივი სიტუაცია ჯავახეთში“;
3. „ზემოაჭარულისა და მესხური დიალექტის ურთიერთმიმართებებისთვის“.
ამასთან, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც რეგიონალურ კვლევებს ენიჭება უპირატესობა თანაბარი საკონკურსო ქულების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

- დამატებითი დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებად განსაზღვრულია თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობილი სისტემური ცოდნისა და სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით სამეცნიერო კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით ნაშრომის მომზადება და სხვ.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ 2023 წელს სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, კვლევის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ხელმისაწვდომობის კომპონენტის ასახვა ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის შედეგებში“.

რეკომენდაცია შესრულებულია. ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში შევიდა ცვლილება და დაემატა რეკომენდაციით გათვალისწინებული ჩანაწერი კვლევის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ხელმისაწვდომობის შესახებ. კერძოდ, მუხლი 4: „4. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ქმნის ახალ ცოდნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომსა და პუბლიკაციებს (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე ქართული ფილოლოგიის მის მიერ არჩეულ ქვედარგში). ამუშავებს მონაცემებს, რომელსაც მიიღებს ორიგინალური კვლევების ან დარგობრივი წყაროებიდან; ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზისა თუ სინთეზის საფუძველზე იღებს სწორ, სტრატეგიულ და ეფექტურ გადაწყვეტილებას. კვლევის შედეგებს წარადგენს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით საერთაშორისო გამოცემებსა და კონფერენციებზე ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად“.

ასევე, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოითქვა შემდეგი რჩევა: „დოქტორანტების საერთაშორისო პროექტებში ინტეგრაციის გზით, სწავლის შედეგების ინტერნაციონალიზაციის და კვლევის უნარების განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილება სულ უფრო მეტად შეიძლება“.

რჩევა გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ. უნივერსიტეტი ცდილობს დაამყაროს და გააძლიეროს კონტაქტები უცხოურ უნივერსიტეტებთან. კერძოდ, თანამშრომლობა იგეგმება მონპელიეს უნივერსიტეტთან, სადაც ერთი დოქტორანტი, უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, გაემგზავრება 2024 წლის მაისის თვეში. ასევე, იგეგმება ანკარის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის შედეგები ითვალისწინებს შემდეგ ფორმებს: პირდაპირი შეფასების მეთოდი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგის შეფასების საბოლოო შეფასებას, რომელიც აისახება სასწავლო და კვლევით კომპონენტებში. ასევე, სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს არაპირდაპირი შეფასების მეთოდს, რომელიც წარმოადგენს სტუდენტთა თვითშეფასებას, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს, პროგრამის ხელმძღვანელისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დაკვირვენენს და სხვ. სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები შეესაბამება სადოქტორო საფეხურს და პროგრამის სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო სტრუქტურა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. სასწავლო კომპონენტი შეადგენს 46 კრედიტს, მათ შორის, 41 კრედიტი არის სავალდებულო სასწავლო კურსები, ხოლო 5 კრედიტი - არჩევითი.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოითქვა 2 რჩევა:

„უკეთ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კლასტერში შემავალი პროგრამების კონკრეტული, პროგრამისთვის სახასიათო შინაარსი, რომ შემცირდეს დუბლირება“.

რჩევის შესაბამისად შევიდა ცვლილებები ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ ოთხივე პროგრამაში. კერძოდ: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ამოღებულ იქნა სასწავლო კურსების ნაწილი, ხოლო ნაწილი მოდიფიცირდა. ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილება: არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვლიდან ამოღებულია სასწავლო კურსი: „მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საკითხები“.

რჩევა: „დაინერგოს მეტი შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციისთვის“.

საანგარიშო პერიოდში გარკვეული ცვლილებები შეეხო ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს, კერძოდ, 2024 წლის მაისში სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტიდან ოთხი წარმომადგენელი: ორი სტუდენტი, ერთი დოქტორანტი და ერთი პედაგოგი გაემგავრება საფრანგეთში, მონპელიეს უნივერსიტეტში. ასევე, მოლაპარაკებები მიმდინარეობს თურქეთის უნივერსიტეტებთან.

უნივერსიტეტის მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოწოდებულია საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ჩატარების შესახებ ინფორმაციები, ასევე, პოლ ვალერის მონპელიეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ამსახველი მასალა და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ მიზანშეწონილია, მომავალშიც გაგრძელდეს ინტერნაციონალიზაციისათვის სამუშაოები.

სადოქტორო პროგრამის სტრუქრურაში, კრედიტების დაანგარიშებისას, ფიქსირდება ხარვეზი. კერძოდ, სადოქტორო პროგრამის მოცულობად სხვადასხვა ადგილას მითითებულია კრედიტების სხვადასხვა რაოდენობა: 41 კრედიტი, 46 კრედიტი, 52 კრედიტი. უშუალოდ პროგრამაში სადოქტორო პროგრამის მოცულობად მითითებულია 52 კრედიტი, რაც არ შეესაბამება პროგრამის ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობას. კერძოდ, სადოქტორო პროგრამა მოიცავს სავალდებულო სასწავლო კომპონენტს - 41 კრედიტს, მათ შორის არის სავალდებულო/არჩევითი კურსები ქართველური ენათმეცნიერების და/ან ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულების დოქტორანტებისათვის 6 კრედიტის მოცულობით და არჩევითი სასწავლო კომპონენტი 5 კრედიტის მოცულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამაში და სხვა დოკუმენტებში არსებული კრედიტების დაანგარიშების ხარვეზი და კრედიტების მოცულობად მითითებული იყოს 46 ECTS კრედიტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამაზე გაგრძელდეს ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ხელმისაწვდომობისათვის მუშაობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის	☐	☒	☐	☐

სტრუქტურა და შინაარსი	

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის სადოქტორო

პროგრამაზე შემოთავაზებულია 16 სასწავლო კურსი. 6 სასწავლო კურსი სავალდებულოა,

ხოლო 9 სასწავლო კურსი - არჩევითი.

2023 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით გამოთქმულლია 2 რეკომენდაცია: „სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე“.
რეკომენდაციის შესაბამისად გადამუშავდა სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა და მითითებულია დარგში აღიარებული სამეცნიერო კვლევები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები, რომელთა შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სავალდებულო ლიტერატურიდან ამოღებულია ცალკეული სტატიები, საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტები და მითითებულია დარგში აღიარებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

რეკომენდაცია: „განისაზღვროს რუსული ენის სტატუსი პროგრამისა და/ან სილაბუსების წინაპირობის დონეზე ან მოხდეს სილაბუსებიდან იმ ლიტერატურის ამოღება, რომლის წაკითხვას სტუდენტები ენის არცოდნის გამო ვერ მოახერხებენ“. კლასტერული რეკომენდაცია ეხებოდა საბაკალავრო პროგრამას და შესრულებულია. კერძოდ, საგანში: „ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციული მეთოდები“, ამოღებულია რუსულენოვანი ლიტერატურა.
რჩევა: "სილაბუსებზე ფოკუსირებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრამების ერთმანეთისგან გამორჩეულობა“. რჩევა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მიერ. კერძოდ, რჩევის შესრულების მიზნით შესწავლილ იქნა კლასტერში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები. ყურადღება მიექცა მსგავსი საკითხების განხილვის საკითხს. სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებულ იქნა ერთი სასწავლო კურსი „ქართველოლოგიის აქტუალური გამოწვევები“, რადგან ამავე თემატიკის სასწავლო კურსები არსებობდა საბაკალავრო და სადოქტორო პრორამაში.

რჩევა: „სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება“. რჩევა გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ. აღნიშნული კი აისახა სასწავლო

კურსების დასახელებების დაზუსტების, ასევე, სასწავლო კურსების სილაბუსებში ენობრივი ფორმულირებების დაზუსტების მიმართულებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რჩევის შესაბამისად სასწავლო კურსის სახელწოდება „შესავალი სოციოლინგვისტიკაში“ დაზუსტდა და ეწოდა „სოციოლონგვისტიკის შესავალი“, ასევე, სასწავლო კურსს „შესავალი ქართველოლოგიაში“ ეწოდა „ქართველოლოგიის შესავალი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოდიფიცირდა 2023 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად. კერძოდ, ექსპერტთა მიერ გამოთქმული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „მოხდეს მიღების წინაპირობის შეზღუდვა ქვედარგის შესაბამისი ან მომიჯნავე სპეციალობების დარგობრივი საბაზისო ცოდნის აუცილებლობიდან გამომდინარე“. რეკომენდაცია გათვალისწინებულია. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვრა შემდეგი წინაპირობა: სადოქტორო პროგრამაზე დაშვების უფლება აქვს შემდეგი კვალიფიკაციის მქონე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს: 0111 განათლების მეცნიერება (0114.1.1 საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის განათლება ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი განათლების მიმართულებით); 0231 ენის დაუფლება; 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა; 0288 ინტერდისციპლინური, (0288.1.2 ციფრული ჰუმანიტარია). მიღების წინაპირობა აისახა ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამასა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.

რჩევა: „უცხოეთიდან სტუდენტების მოსაზიდად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. ამ კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა“.
რჩევა გაზიარებულია და უნივერსიტეტი გეგმავს საერთაშორისო სასწავლო ბაზრობაში მონაწილეობას. ვინაიდან რჩევა გრზელვადიან პერსპექტივას მოიცავს, მიზანშეწონილია, ამ მიმართულებით მომავალშიც გაგრძელდეს მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სადისერტაციო საბჭოს დებულება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტებს. კვლევითი კომპონენტების თვალსაზრისით აღსანიშნავია როგორც სადოქტორო დისერტაციის მომზადება, ასევე მისი ინერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, რაც უნდა მოხდეს სხვადასხვა გზით, მათ შორის, საერთაშორისო პუბლიკაციებით. ამასთან დაკავშირებით 2023 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოითქვა 2 რეკომენდაცია: „კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა სამი კვლევითი ნაშრომიდან მინიმუმ ერთი მაინც უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ უცხოურ რეცენზირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS)“. რეკომენდაცია შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ. კერძოდ, სადისერტაციო საბჭოს მე-12 მუხლში: „დისერტაციის დაცვისთვის მომზადება“, ვ ქვეპუნქტი ჩამოყალიბებულია ამგვარად: „დისერტაციის დაცვამდე დისერტანტს კვლევის სფეროში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელთა შორის აუცილებელია ერთი სტატია მაინც გამოქვეყნებული იყოს (ან მიღებული იყოს დასაბეჭდად) საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია

შესული (მაგ:.ERIH PLUS, Scopus, EBSCOHost, Web of Science, Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Ulrich's Index, Latindex Catalogue...)."

რეკომენდაცია: „რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის დაწყების ვადად განისაზღვროს სასწავლო კომპონენტის დასრულებისას". რეკომენდაცია შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ. სადისერტაციო ნაშრომს წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კომპონენტის დასრულება.

რჩევა: „ჟურნალი „გულანი", რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების, უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში". რჩევა გაზიარებულია და დაწყებულია მუშაობა სამეცნიერო ჟურნალის, „გულანი", საერთაშორისო ბაზებში გაწევრიანებისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო ბაზიდან, ERIHplus, უნივერსიტეტმა მიიღო რეკომმენდაციები, თუ როგორ გააუმჯობესონ ჟურნალის სამეცნიერო ხარისხი, რათა იგი გაწევრიანდეს აღნიშნულ ბაზაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დამატებითი მასალა - ინტერნაციონალიზაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და	☒	☐	☐	☐

ტრანსფერული უნარების განვითარება

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მოქმედებს სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე. აკრედიქაციის ექსპერტთა მიერ 2023 წელს გამოთქმული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „კვლევების ხელშეწყობის და ახალი ცოდნის მიღების მიზნით რეკომენდებულია სასწავლო კომპონენტში სავალდებულო ბლოკი გაძლიერდეს ლიტერატურათმცოდნეობისა და ლინგვისტიკის მიმართულებით კვლევის მეთოდების საკითხებით, ასევე ყურადღება მიექცეს სამეცნიერო წერის მეთოდების საკითხებს“.

რეკომენდაცია შესრულებულია. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში შევიდა ცვლილებები და სამი არჩევითი კურსი გახდა სავალდებულო.

კერძოდ:

სავალდებულო სასწავლო კომპონენტი - 41 ECTS კრედიტი:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი;
- სამეცნიერო წერის მეთოდები - 5 კრედიტი;
- ლინგვისტური ანალიზი და კვლევის მეთოდები - 6 კრედიტი (სავალდებულო/არჩევითი);
- ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები - 6 კრედიტი (სავალდებულო/არჩევითი);
- პროფესორის ასისტენტობა - 15 კრედიტი;
- სადოქტორო სემინარი - 15 კრედიტი.

არჩევითი სასწავლო კომპონენტი - 5 ECTS კრედიტი

რჩევა: „გაგრძელდეს და გაძლიერდეს სტუდენტებისთვის შესაფერისი ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა“. რჩევა გაზიარებულია. კერძოდ, სტუდენტებისათვის მზადდება სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები. ასევე, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის ტარდება ტრენინგები კვლევითი ნაშრომის სტრუქტურის, აკადემიური წერის უნარების განვოთარების, საკონფერენციო ნაშრომების მომზადების საკითხებზე.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ მასალაში ასახულია, რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა ტრენინგები სამეცნიერო ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ და სხვ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტრენინგებისა და მეთოდური მუშაობის ჩატარების შემდგომ რა ცვლილებები მოხდა განსახილველად წარმოდგენილ პროგრამაზე, როგორ გაუმჯობესდა, ან შეიცვალა სტუდენტების აკადემიური დონე.

რჩევა: „საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქსელის გააქტიურებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ სწავლების ახალ ან განსხვავებულ მეთოდებს, ასევე გაეცნონ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივებს და მიდგომებს“. რჩევა გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

წარმოდგენილ მასალებში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს აქტივობებს, რომლითაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართვას საერთაშორისო პრორგამებში. მათ შორის, ტრენინგი „როგორ დავწეროთ სამოტივაციო წერილი ამერიკული გაცვლითი პროგრამებისათვის“, ასევე, ახალი მეთოდოლოგიების მიმართულებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრენინგების ჩატარების შემდგომ მოსალოდნელი ცვლილებები მიზანშეწონილია აისახოს და განხილულ იქნებს უნივერსიტეტის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სადოქტორო პროგრამა

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ტრენინგების მასალები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის მიმართულებით.
- მიზანშეწონილია, მოხდეს ჩატარებული ტრენინგების შედეგების მონიტორინგი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები, თუმცა 2023 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოტქმული იყო რჩევა ამ მიმართულებით. „შესაძლებელია საერთაშორისო კარიერული პერსპექტივების, ქსელის და კვლევითი პროექტების საერთაშორისო დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მეტად მიწოდება. მაგალითად, ინდივიდუალურმა კონსულტაციამ შეიძლება წაახალისოს სტუდენტები, ისარგებლონ საერთაშორისო შესაძლებლობებით“.

რჩევა გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ. კერძოდ, 2024 წლის პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილია 25 000 ლარი სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის, ხოლო 100 000 ლარი კვლევებისათვის, ეს თანხა კი პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტების, განსახილველ პროგრამასთან მიმართებით კი, დოქტორანტების სამეცნიერო აქტივობებსაც შეიძლება მოხმარდეს. მნიშვნელოვანია შემდგომში უნივერსიტეტმა ჩაატაროს შიდა კვლევა, ამ პროგრამის რამდენმა სტუდენტმა, მათ შორის, დოქტორანტმა და რამდენმა პროფესორმა ისარგებლა ამ შესაძლებლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- დანართი 3

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტების ხელმძღვანელები არიან დარგის კვალიფიციური სპეციალისტები. 2003 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოითქვა ამ მიმართულებით შემდეგი რჩევა: „შეიძლება მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინტეგრაციის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, რითაც გაძლიერდება სტუდენტების კომპეტენციები და ეს ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ სარგებელს მოუტანს ხელმძღვანელობას“.

რჩევა გათვალისწინებულია და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტებში პროფესორებთან ერთად ჩართულები არიან ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტები და სტუდენტები.

მიზანშეწონილია, ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდეს და გაფართოვდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები. მათ აქვთ სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოითქვა ორი რჩევა აღნიშნული მიმართულებით:
რჩევა: „აკადემიურმა პერსონალმა და კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა პროექტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებისთვის გარე დაფინანსების მისაღებად, რაც შექმნის მაღალი ხარისხის კვლევებისა და პუბლიკაციების ჩატარების და მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების შესაძლებლობას.
ფილოლოგიის დარგში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტებში ჩართული არიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. ასევე, პროგრამაში მონაწილე პერსონალი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

რჩევა: „კვლევითი მონოგრაფიების (და არა მხოლოდ ჟურნალის ნაშრომების) წარმოების ზრდა შეიძლება იყოს კარგი ნაბიჯი პერსონალის აკადემიური პრესტიჟისა და დონის უზრუნველსაყოფად“.
რჩევა გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ. 2023 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გამოიცა კოლექტიური მონოგრაფია „ჯავახეთის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება“.

ამავე წელს გამოსაცემად მომზადდა ორი მონოგრაფია ქართული ლიტერატურის, ჰაგიოგრაფიისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების კვლევებთან დაკავშირებით.

მიზანშეწონილია გაიზარდოს აღნიშნული ტენდენცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სამეცნიერო ანგარიში
- დანართი 5 - პერსონალის განვითარების აქტივობები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების			

ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ დარგობრივი კომპეტენციები. ისინი უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. 2023 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოითქვა რჩევა: სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალისთვის პროფესიონალური განვითარებისთვის მეტი ტრენინგის შეთავაზება.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 2023 და 2024 წლებში ჩატარდა ტრენინგი პროფესორებისათვის „სტუდენტების შეფასების თანამედროვე მეთოდები“, ასევე, ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამისა და პროექტის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა დაგეგმოს გრძელვადიანი პერსპექტივით აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ○ სამეცნიერო ანგარიში
- ○ დანართი 5 - სამეცნიერო აქტივობების ამასახველი მასალა
- ○ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ○ მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს გრძელვადიანი პერსპექტივით აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის განვითარება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური,	☒	☐	☐	☐

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსები, იგი უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მისაღწევად. პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსახოციელებლად უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2023 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ ამ მიმართულებით გამოთქმულია რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.
რეკომენდაცია: „რეკომენდირებულია დისტანციური წვდომის უზრუნველყოფა ყველა აკადემიურ მონაცემთა ბაზაზე, რომელიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას (მაგ. VPN-ის საშუალებით), განსაკუთრებით პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის, სასარგებლო იქნება დისტანციური წვდომა არა მხოლოდ Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე (რომლებიც არ არის სპეციფიკური კლასტერის პროგრამებისთვის)“.
რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ საანგარიშო პერიოდში გახსნილია წვდომა Oxford Journals ბაზაზე, ხოლო დანარჩენი ბაზების გაწრე წვდომის უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მოლაპარაკებები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამომავლოდ გასათვალისწინებელია იმის ანალიზიც, თუ რა ცვლილებები განხორციელდა გარე წვდომის შედეგად ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, რომ ბიბლიოთეკამ გააუმჯობესოს აკადემიური მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგი და ამ პროცესში ჩართოს აკადემიური პერსონალი, რათა მეტად გაუწიოს პოპულარიზაცია ამ რესურსებს სტუდენტებში“.
რეკომენდაციის შესაბამისად ჩატარდა ტრენინგები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის და პროფესორ-მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების, სამეცნიერო მასალის ელექტრონულად მოძიების შესახებ. ასევე, რეკომენდაციის გათვალისწინებით ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებისათვის ინდივიდუალურად მომზადდა გზამკვლევები, ვიდეოინსტრუქციები და განთავსდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშოს ისიც, თუ გატარებული ღონისძიებების შედეგად რა ცვლილებები განხორციელდა, რადგანაც, როგორც უნივერსიტეტი მიუთითებს, მსგავსი ღონისძიებები ადრეც ხორციელდებოდა. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საანგარიშო პერიოდი რეკომემნდაციის შესასრულებლად, სრულად შესაძლოა, არ იყოს

საკმარისი. უნივერსიტეტმა კვლავ უნდა გააგრძელოს სამეცნიერო ბაზების პოპულარიზაციისათვის აქტივობები და ასევე, განიხილოს აქტივობების შედეგები.

რეკომენდაცია: „ბიბლიოთეკამ და აკადემიურმა პერსონალმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა, რათა წაახალისონ სტუდენტები, გამოიყენონ ყველა შესაბამისი საინფორმაციო რესურსი, განსაკუთრებით თანამედროვე ციფრული რესურსები“.
უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ ჩართულია საბიბლიოთეკო პროექტში „ელექტრონულ ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIFL". ასევე, 2017 წლიდან მონაწილეობს ბიბლიოთეკების საინფრმაციო ქსელის კონსორციუმში.

რჩევა: „ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, უფრო აქტიურად წახალისდეს, მოტივაცია მიეცეს და დაფინანსდეს აკადემიური პერსონალი, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში“.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ცხადია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე, დოქტორანტებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო, რეფერირებად და რეცენზირებად გამოცემებში გამოქვეყნება ფინასდება უნივერსიტეტის მიერ. ასევე, უნივერსიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში გაწერილია კონფერენციებში მონაწილეობისა და პუბლიკაციების ხარჯები. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა პოპულარიზაცია გაუწიოს საერთაშორისო, მაღალი რანგის სამეცნიერო პუბლიკაციებს.

რჩევა: „საერთაშორისო ქსელის დახმარებით შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის (და აკადემიური პერსონალისთვის) ხელმისაწვდომი გახდეს რესურსები (როგორიცაა მონაცემთა ბაზები, პუბლიკაციები ან კომპიუტერული ინსტრუმენტები), რომლებიც ამჟამად მიუწვდომელია უნივერსიტეტში“.
უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დისტანციური წვდომა სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე გახსნილია, ხოლო Oxford Journals ბაზაზე წვდომის შსახებ ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება.

აღსანიშნავია, რომ რჩევა ეხება უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო ქსელში ჩართვას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ამჟმად მიუწვდომელ სამეცნეირო მონაცემებზე წვდომასა და საერთაშორისო პუბლიკაციების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა შეძლოს დარგობრივ საერთაშორისო აკადემირი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ქსელებში ინტეგრაცია, როგორიც არის ფილოლოგიური, ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი და სხვა ასოციაციები, ქსელები, რათა შეძლოს რჩევებისა და რეკომენდაციის ნაწილის სრულფასოვნად შესრულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სამეცნიერო ანგარიში

- დანართი 5 - სამეცნიერო აქტივობების ამსახველი მასალა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა პოპულარიზაცია გაუწიოს საერთაშორისო, მაღალი რანგის სამეცნიერო პუბლიკაციებს.
- მოზანშეწონილია, ყურადღება მიექცეს სამეცნიერო ბაზების მოხმარების მონიტორინგს. კერძოდ, მოხდეს იმის ანალიზიც, თუ რა ცვლილებები განხორციელდა გარე წვდომის შედეგად ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ცენტრალიზებულად. პროგრამის ბიუჯეტი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტთან. რაც უზრუნველყოფს კონკრეტული პროგრამის ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრადობას. ამ მიმართულებით ექსპერტებმა გამოთქვეს შემდეგი რეკომენდაცია: „ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ პროგრამის ბიუჯეტს ჰქონდეს რისკების მართვის გეგმა, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროგრამის მიწოდებასთან დაკავშირებული რაიმე სერიოზული პრობლემა“.

პროგრამის მონიტორინგის ვიზიტისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ქართული ფილოლოგიის მიმართულება პრიორიტეტს წარმოადგენს და საჭიროების შემთხვევაში ხარჯები დაიფარება უნვერსიეტის საერთო ბიუჯეტიდან.

დამატებით დოკუმენტაციაში უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ბიუჯეტი, რომელზე დაკვირვებაც აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი ერთიანად განკარგავს ბიუჯეტს, რისკების სამართავად შემუშვებულია შესაბამისი მექანიზმები და სამოქმედო გეგმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სამეცნიერო ანგარიში
- დანართი 5 - სამეცნიერო აქტივობების ამსახველი მასალა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტს ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში. ამ მიმართულებით ექსპერტთა მიერ გაცემულია რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.

რეკომენდაცია: „საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია შეხვედრა თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების თაობაზე, სადაც ყურადღება გამახვილდება შეფასების სხვადასხვა აქტივობის მნიშვნელობის ასახვაზე და განიხილება შესაძლო ცვლილებები.
2023 წლის ბოლოს და 2024 წლის დასაწყისში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები „სტუდენტის შეფასების თანამედროვე მეთოდები“, ასევე, შემუშავდა გზამკვლევი და ელექტრონული ვერსიები განთავსდა უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ტრენინგების ამსახველი მასალები.

ასევე, უნივერსიტეტმა შეისწავლა სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემები და მოახდინა რევიზია, რის შედეგადაც სასწავლო კურსების უმრავლესობაში შეფასების სისტემები გადამუშვდა.

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსებში შეიცვალა შეფასების მეთოდოლოგია. მაგალითად, სავალდებულო სასწავლო კურსში, „სამეცნიერო წერის მეთოდები“, შუალედური შეფასების კომპონენტს დაემატა „კვლევის კრიტიკის“ ელემენტი. ეს

კომპონენტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევრების კრიტიკული უნარების განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ასევე, სასწავლო კურსში: „ლინგვისტური ანალიზი და კვლევის მეთოდები“, შეიცვალა შეფასების მეთოდი და დაემატა კომპონენტი: „ათწუთიანი მოხსენება“, სასწავლო კურსში: „ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები“, შეფასებისას გამოიყო კომპონენტი - ურთიერთშეფასება და სხვ.

რეკომენდაცია: „რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) მათ ინდივიდუალურად მიეწოდოს წერილობითი ფორმით და ეს პროცესი ფორმალური გახდეს.
რეკომენდაციის შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები ეგზავნება პროგრამაში ჩართულ პირებს ინდივიდუალურად.

რჩევა: „ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თვითშეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, პროგრამის მიზნების მიღწევა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელება
წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული პროგრამის თვითშეფასების პროცესში, კერძოდ, მათ დაეგზავნათ კითხვარები, ინფორმაციების სწავლის შედეგების, სასწავლო კურსების ფორმირების საკითხებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიში
- დანართი 8- ხარისხის სამსახურის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს გააზრებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისადმი წაყენებული მოთხოვნების შესრულებაში გარე ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინების საჭიროება სათანადო მექანიზმების მეშვეობით. საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით ექსპერტთა მიერ გაცემულია შემდეგი რჩევა: „ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა თუ არსებობს რაიმე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ რჩევა მისაღები და გაზიარებულია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამის 3 წლიანი ანგარიშის წარმოდგენისას დაიგეგმება გარე შეფასება ქართველი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით. თუმცა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ ჩანს გარკვევით, თუ როგორი მექანიზმები დაისახა უნივერსიტეტმა პროგრამის წინასწარი შეფასებების შესახებ.

მიზანშეწონილია, წინასწარ განისაზღვროს გარე შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიში
- დანართი 8- ხარისხის სამსახურის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, წინასწარ განისაზღვროს გარე შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, აწარმოებს პერიოდულ მონიტორინგს და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. ამ მიმართულებით ექსპერტთა მიერ გაცემულია რეკომენდაციები:

რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, რომ საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს საჯაროდ განთავსებული ვებგვერდზე. ნაცვლად ამისა, კითხვარები შეიძლება დაიგზავნოს სამიზნე ჯგუფებთან, ელექტრონული ფოსტის და/ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა მიმართულებისა და საფეხურის სტუდენტებისათვის შემუშავებული კითხვარები მუდლის პლატფორმაზე განთავსდა 2023-24 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან. შესაბამისად, კითხვარებზე წვდომა ექნება მხოლოდ სამიზნე აუდიტორიას.

რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფმა პროაქტიულად იმუშაოს, რათა საუკეთესო პრაქტიკის სახით, მოიძიოს მსგავსი პროგრამები მსგავსი დარგებიდან და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები, რათა შემდგომ მოხდეს ამ საუკეთესო პრაქტიკების განხორციელება, ადაპტაციის გზით“.
რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტმა მოიძია საუკეთესო პრაქტიკის სახით მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ანალოგი დაიძებნა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამასთან „ფილოლოგია“ და სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო

პროგრამასთან. შედარების შედეგად დადგინდა, რომ ანალოგ პროგრამას დოქტორანტებისათვის შეთავაზებული აქვს საზღვარგარეთ აკრედიტებულ სასწავლო კურსებსა და საქართველოს აკრედიტებულ უნივერსიტეტებში მოსმენილი სასწავლო კურსების აღიარება, რაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაში აისახა. ასევე დოქტორანტებს მიეცათ შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში სწავლების წინა საფეხურიდან მოისმინონ სასწავლო კურსები თავისუფალი მსმენელის სტატუსით. გარდა ამისა, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში პროგრამის კურიკულუმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში დოქტორანტებისა და პროფესორების ჩასართავად და სხვა მიზნებისათვის, მათ შორის, დოქტორანტების თანახელმძღვანელებად, კონსულტანტებად მოწვეულნი იქნებიან უცხოელი ექსპერტები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ თანამშრომლობა დაწყებულია ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორთან. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიში
- დანართი 8 - ხარისხის სამსახურის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ქართული ფილოლოგია, დოქტორანტურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ფხაკაძე